

## კანონპროექტები, რომელთა განხილვაც მიზანშეწონილია მეცხრე მოწვევის პარლამენტში გაგრძელდეს

მეცხრე მოწვევის პარლამენტის პირველი სხდომა 2016 წლის 18 ნოემბერს გაიმართა. პარლამენტმა უახლოეს პერიოდში უნდა იმსჯელოს მერვე მოწვევის პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტთა განხილვის გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ.<sup>[1]</sup>


„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ წარმოგიდგინთ იმ კანონპროექტთა შეფასებებს, რომელთა განხილვაც მერვე მოწვევის პარლამენტში ვერ დასრულდა და მიზანშეწონილია პროცესი მეცხრე მოწვევის პარლამენტმა გააგრძელოს.

კანონმდებლობის თანახმად, ახალი მოწვევის პარლამენტს არ აქვს ვალდებულება გააგრძელოს იმ კანონპროექტების განხილვა, რომლის მიღებაც წინა მოწვევის პარლამენტში ვერ მოესწრო. თუმცა კომიტეტებს შეუძლიათ მიზანშეწონილად მიიჩნიონ კანონპროექტთა განხილვის პროცედურის გაგრძელება და შესაბამის კანონპროექტთა ნუსხა ბიუროს წარუდგინონ. საბოლოო გადაწყვეტილებას კანონპროექტთა განხილვის მიზანშეწონილობის ან მიზანშეუწონლობის შესახებ პარლამენტი პლენარულ სხდომაზე იღებს.

პარლამენტს სამი მოსმენით არ აქვს მიღებული სულ **114 კანონპროექტის პაკეტი (465 კანონის პროექტი)**, რომლებიც სხვადასხვა ეტაპზეა შეჩერებული. არსებობს ინიციატივები, რომელთა განხილვაც პარლამენტში არ დაწყებულა, ასევე ის ინიციატივები, რომლებიც ორჯერ იქნა განხილული და მხარდაჭერილი პლენარულ სხდომაზე, თუმცა, ამის მიუხედავად, საბოლოო გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.<sup>[2]</sup>

### დიაგრამა 1.

წინა მოწვევის პარლამენტის მიერ მიღებული და განსახილველი (არ მიღებული) კანონპროექტები



■ მიღებული კანონების რაოდენობა - 1505

■ განსახილველი (არ მიღებული) კანონპროექტების რაოდენობა - 465

<sup>1</sup> მერვე მოწვევის პარლამენტმა მიიღო 1505 კანონი

<sup>2</sup> სრული ნუსხა თემატიკის მიხედვით იხილეთ აქ:

[https://docs.google.com/document/d/1R3\\_NHvIJUJG2QAboZVhFopU-2GV-tN5lwUqxd4TDrk/edit?ts=58245e17](https://docs.google.com/document/d/1R3_NHvIJUJG2QAboZVhFopU-2GV-tN5lwUqxd4TDrk/edit?ts=58245e17)

## კანონპროექტები, რომელთა განხილვაც მიზანშეწონილია მეცხრე მოწვევის პარლამენტში გაგრძელდეს

მერვე მოწვევის პარლამენტში დარეგისტრირდა და განხილვის სხვადასხვა ეტაპზე გაჩერდა რამდენიმე ინიციატივა, რომლებზე მსჯელობაც ვფიქრობთ მიზანშეწონილია გააგრძელოს მეცხრე მოწვევის პარლამენტმა. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია:

- **საარჩევო სისტემის რეფორმა, მაჟორიტარული სისტემის გაუქმება**

კონსტიტუციური კანონის პროექტის თანახმად, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომი საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს მთლიანად პროპორციული წესით მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში, შესაბამისად უქმდება დღეს მოქმედი 73 მაჟორიტარული ოლქი.<sup>[3]</sup>

- **სასამართლო რეფორმის მესამე ტალღა**

წარმოდგენილი კანონპროექტი საჭიროებს დახვეწასა და სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებების ასახვას, თუმცა მიუხედავად ამისა უმნიშვნელოვანესია ამოქმედდეს ის პოზიტიური ცვლილებები რასაც წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტი შეიცავს, მათ შორისაა: საქმეთა განაწილების ელექტრონული წესის ამოქმედება, რომელიც საქმეთა შემთხვევითობის პრინციპით განაწილებას გულისხმობს და სასამართლოთა თავმჯდომარეებს ართმევს ამ პროცესში ჩარევის ბერკეტებს; მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსის მიმდინარეობისას ინტერესთა კონფლიქტის საკითხის დარეგულირება; მოსამართლეთა მივლინების წესის დახვეწა და ამ მიმართულებით მოსამართლეებისთვის დამატებითი გარანტიების შექმნა.<sup>[4]</sup>

- **რეგლამენტში შესატანი ცვლილებები გაცდენებთან დაკავშირებით**

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის საკანონმდებლო ინიციატივის თანახმად, პლენარული და საკომიტეტო სხდომების გაცდენისას ოჯახურ მდგომარეობაზე მითითება არ უნდა ჩაითვალოს საპატიო მიზეზად. აღსანიშნავია რომ მერვე მოწვევის პარლამენტში პლენარული სხდომის საპატიო გაცდენის 5913 შემთხვევიდან ოჯახური მდგომარეობის მითითებით გაცდა **4100** შემთხვევაში.<sup>[5]</sup>

- **აღსრულების რეალური მექანიზმის შემცველი ეთიკის კოდექსი**

2016 წლის 29 სექტემბერს ბიუროზე დარეგისტრირდა [ეთიკის კოდექსის](#) მიღების შესახებ დადგენილების პროექტი.<sup>[6]</sup> პროექტის თანახმად, პარლამენტმა დადგენილების სახით უნდა მიიღოს ეთიკის კოდექსი, რომელიც საქართველოს პარლამენტის წევრების ქცევის ეთიკურ სტანდარტებს დაადგენს.

<sup>3</sup> საქართველოს პარლამენტი, კანონპროექტი: „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

<http://info.parliament.ge/#law-drafting/10408> ; განხილულია **პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით**

<sup>4</sup> კანონპროექტი : „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ და თანმდები კანონპროექტები <http://info.parliament.ge/#law-drafting/9715> მიღებულია **პლენარულ სხდომაზე ორი მოსმენით**

<sup>5</sup> კანონპროექტი : „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ <http://info.parliament.ge/#law-drafting/9591>

მიღებულია **პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით**

<sup>6</sup> ინიციატორი საქართველოს პარლამენტის წევრები: გ. მალრაძე, დ. უსუფაშვილი, თ. ჯაფარიძე, ს. ხაბულიანი, გ. გაჩეჩილაძე, ე. ბესელია, თ. ყაჭეიშვილი, თ. კორძაია, ს. დანელია, დ. ბერძენიშვილი, ბ. გუჯაბიძე. ხოლო ავტორია საქ. პარლამენტის ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო.

აღსანიშნავია, რომ წარდგენილი პროექტით, **ეთიკის კოდექსი არ ითვალისწინებს რეაგირების მექანიზმებს ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევების შემთხვევაში**. მნიშვნელოვანია, პარლამენტმა მიიღოს ეთიკის კოდექსი, რომელიც გაითვალისწინებს აღსრულების რეალურ მექანიზმს და იქნება ასახული შესაბამისი სანქციები ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული დარღვევების შემთხვევაში.<sup>[7]</sup>

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ დაინტერესდა იმ საკანონმდებლო ცვლილებებთან შინაარსით, რომელთა ინიცირებაც მერვე მოწვევის პარლამენტში დაიწყო, თუმცა პარლამენტმა სხვადასხვა მიზეზების გამო მათი განხილვის პროცედურა ვერ დაასრულა.

## წინა მოწვევის პარლამენტის კანონპროექტების განხილვის პროცედურა

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, ახალი მოწვევის პარლამენტის კომიტეტები შექმნიდან არა უგვიანეს 6 თვისა, ადგენენ წინა მოწვევის პარლამენტში განსახილველად წარდგენილ იმ კანონპროექტთა ნუსხას (წამყვანი კომიტეტების მიხედვით), რომელთა განხილვის პროცედურის გაგრძელება **მიზანშეწონილად** ან **მიზანშეუწონლად** მიაჩნიათ, და მას განსახილველად წარუდგენენ პარლამენტის ბიუროს. ბიურო ამ საკითხს გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს პარლამენტის პლენარულ სხდომას. პლენარულ სხდომაზე გადაწყვეტილების მიღება ხდება დადგენილების სახით.

- თუ კანონპროექტის ინიციატორი იყო საქართველოს **მთავრობა**, შესაბამისი წამყვანი კომიტეტის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნუსხის შედგენისას სავალდებულოა ინიციატორის თანხმობა.
- თუ კანონპროექტის ინიციატორი იყო **ყოფილი პარლამენტის წევრი** ან **ფრაქცია**, კანონპროექტის განხილვის პროცედურის გაგრძელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ინიციატორად ჩაითვლება **შესაბამისი წამყვანი** კომიტეტი. საჭიროების შემთხვევაში პარლამენტი უფლებამოსილია პლენარულ სხდომაზე თვითონ განსაზღვროს წამყვანი კომიტეტი.<sup>[8]</sup>

ის კანონპროექტები, რომელთა განხილვის პროცედურის გაგრძელების მიზანშეწონილობის ან მიზანშეუწონლობის თაობაზე პარლამენტი არ მიიღებს გადაწყვეტილებას, პარლამენტიდან გათხოვილად ჩაითვლება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ნუსხის და შესაბამისად ცვლილებების მიღებასთან დაკავშირებით ადგილი აქვს საკანონმდებლო ხარვეზს/პრობლემას, ვინაიდან **რეგლამენტი არ განსაზღვრავს თუ რა ვადაში უნდა მოხდეს მიზანშეწონილად ცნობა/არ ცნობა და შესაბამისად კანონთა მიღება**.

<sup>7</sup> დადგენილების პროექტი „საქართველოს პარლამენტის წევრების ეთიკის კოდექსი“, <http://info.parliament.ge/#law-drafting/12987>


დარეგისტრირდა ბიუროზე, არ დაწყებულა განხილვა

<sup>8</sup> ამასთანავე მეცხრე მოწვევის პარლამენტში იქნებოდა ის ინიციატორები, რომლებმაც მერვე მოწვევის საქმიანობის ფარგლებში მოახდინეს სხვადასხვა კანონპროექტების ინიცირება: ქანთარია ალექსანდრე, ერეკლე ტრიპოლსკი, გია ჟორჯოლიანი, ევა ბესელია, გედევან ფოფხაძე, სერგო რატიანი, ზაზა პაპუაშვილი, გედევან ფოფხაძე, სერგო რატიანი, გიორგი წერეთელი, თეიმურაზ ჭკუასელი, კარლო კოპალიანი, ზვიად კვაჭანტირაძე, დიმიტრი ხუნდაძე, მირიან წიკლაური


## წინა მოწვევის პარლამენტის კანონპროექტები, რომელთა განხილვაც ვერ დასრულდა და ამ კანონპროექტების ინიციატორები

მერვე მოწვევის პარლამენტმა ვერ მოასწრო 114 კანონპროექტთა პაკეტისა (465 კანონის პროექტი) და 4 დადგენილების პროექტის მიღება.

დიაგრამა 2.



დიაგრამა 3.



## მერვე მოწვევის პარლამენტში ბიუროზე ყველაზე ადრე დარეგისტრირებული კანონპროექტი, რომლის განხილვაც პარლამენტში შეჩერდა

ყველაზე ადრე დარეგისტრირებული კანონპროექტი, რომელიც არ იქნა პარლამენტის მიერ მიღებული, იყო „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (ინიციატორი: ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი, მომხსენებელი კობა დავითაშვილი). კანონპროექტი ითვალისწინებდა ჯარიმის დაწესებას სექსუალური ხასიათის პროდუქციის რეალიზაციისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში, სკოლაში, 18 წლამდე ასაკის პირებისათვის განკუთვნილ დაწესებულება-ორგანიზაციებში და მათი კუთვნილი ტერიტორიებიდან 50 მეტრის დაშორებით, ყველა სახის სამედიცინო-სასწავლო დაწესებულებებში. კანონპროექტის განხილვას [დისკუსია](#) მოყვა როგორც პარლამენტში ისე საზოგადოებაში. საბოლოოდ ინიციატივა პირველი მოსმენით პლენარული სხდომის სტადიაზე გაჩერდა. 2016 წლის 30 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა მიზანშეუწონლად ცნო აღნიშნული კანონპროექტის განხილვის გაგრძელება.

## განსახილველ კანონპროექტთა თემატიკა

წარმოგიდგინთ იმ ძირითად ინიციატივებს, რომლებიც არ იქნა განხილული/მხარდაჭერილი პარლამენტის მიერ შესაბამისი თემატური ჯგუფების მიხედვით. ასევე, წარმოგადგინთ რეკომენდაციებს მნიშვნელოვან ცვლილებებთან დაკავშირებით.

## ცვლილებები კონსტიტუციაში

მერვე მოწვევის პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებების რამდენიმე კანონპროექტი დარეგისტრირდა, მათ შორის უმნიშვნელოვანესია საარჩევნო სისტემის შეცვლასთან დაკავშირებული პარლამენტის 81 წევრის [ინიციატივა](#), რომლის თანახმად, საქართველოს პარლამენტი შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით, მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით პროპორციული სისტემით არჩეული 150 პარლამენტის წევრისაგან. ამასთანავე, განისაზღვრება, რომ პარლამენტის წევრთა მანდატები შეიძლება მიეკუთვნოს მხოლოდ იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებიც მიიღებენ ყველა მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქის მიხედვით არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ხმების 4% მაინც, ხოლო თითოეულ მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში საარჩევნო სუბიექტებს შორის პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება მათ მიერ შესაბამის საარჩევნო ოლქში მიღებული ხმების პროპორციულად ორგანული კანონით დადგენილი წესით.

- საარჩევნო სისტემის ცვლილებას შეეხებოდა 200 000 ამომრჩევლის [ინიციატივა](#), რომლის თანახმადაც ნაცვლად პროპორციული და მაჟორიტარული სისტემისა შემოღებულ უნდა იქნას ერთიანი პროპორციული და სამხარეო პროპორციული სისტემები. 75 პარლამენტის წევრი არჩეულ იქნეს ერთიანი პროპორციული სისტემის საფუძველზე, ხოლო 75 სამხარეო პროპორციული სისტემის საფუძველზე.
- საკონსტიტუციო [ცვლილებების](#) საგანს წარმოადგენს ასევე პარლამენტის ადგილსამყოფელის განსაზღვრის საკითხი, რომელიც პარლამენტის 80 წევრის მიერ არის ინიცირებული
- დარეგისტრირებულია პარლამენტის 80 წევრის [ინიციატივა](#) კონსტიტუციაში ქორწინების ცნების განსაზღვრასთან დაკავშირებით, რომლის თანახმად ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობას.



- მერვე მოწვევის პარლამენტის საქმიანობის პერიოდში დარეგისტრირებული იყო ასევე [ინიციატივა](#), რომელიც ეხება უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობის დაკავების აკრძალვას, სხვა ინიციატივის თანახმად კი გათვალისწინებული იმ ნორმის ამოღება, რომელიც ეხება პრეზიდენტის შენიშვნებით დაბრუნებული კონსტიტუციური კანონპროექტის მიღებისა და კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტის საქართველოს პარლამენტის ორ თანმიმდევრულ სესიაზე მიღების საკითხს.

საარჩევნო სისტემის ცვლილების აუცილებლობაზე საკანონმდებლო ორგანოს [არაერთხელ](#) მოუწოდა “საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ” და საარჩევნო სფეროში მომუშავე სხვა ორგანიზაციებმა. **მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის გაუქმება უზრუნველყოფს ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით ხმების სამართლიანად ასახვას პოლიტიკური პარტიების მიერ მოპოვებულ მანდატებზე.** სამწუხაროდ, მერვე მოწვევის პარლამენტს არ აღმოაჩნდა პოლიტიკურ ნება ცვლილების განსახორციელებლად. **მნიშვნელოვანია მეცხრე მოწვევის პარლამენტში გაგრძელდეს მუშაობა ამ მიმართულებით.**

## განსახილველი ცვლილებები ადამიანის უფლებების მიმართულებით

- მთავრობის [ინიციატივით](#) გათვალისწინებული „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში წარმოდგენილი ცვლილებებით, პოლიციას უფლება ეძლევა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, პოლიციის სარგებლობაში არსებული შესაბამისი ამოსაცნობი ნიშნების მქონე ან ამგვარი ამოსაცნობი ნიშნების არმქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე დაამონტაჟოს ფოტო/ვიდეო ტექნიკა. **ფარული პატრულირება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, შეიცავს უფლების ბოროტად გამოყენების დიდ რისკებს. პერსონალურ მონაცემთა ამ ხერხით დამუშავება საგზაო უსაფრთხოებისათვის არ არის მიზნის პროპორციული.**
- არანაკლებ 30000 ამომრჩევლის [ინიციატივის](#) თანახმად, რომელიც გულისხმობს „საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანას, ადგენს საარსებო მინიმუმის ფორმირებისა და სასურსათო კალათის კალორიულობის განსაზღვრის წესს. კერძოდ, ცვლილებები მიზნად ისახავს იმ მინიმალური სტანდარტების განსაზღვრას, რასაც მოჰყვება მთავრობისა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მხრიდან საარსებო მინიმუმის გადაანგარიშება.
- „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში [ცვლილების](#) შეტანის შესახებ პარლამენტის წევრის მარიამ საჯიას ინიციატივით რეგულირდება საჯარო სამსახურში სტაჟირების გამოცხადებასა და სტაჟირების გავლის წესთან დაკავშირებული საკითხები, ასევე საჯარო სამსახურში სტაჟირების პერიოდი, თუ სტაჟირება წარმატებით იქნა დასრულებული და გაცემულია შესაბამისი სერტიფიკატი ჩაითვლება სამსახურის სტაჟში. ახალი კანონი საჯარო სამსახურის შესახებ სამსახურის სტაჟში მოიაზრებს: სახელმწიფო სამსახურსა და საჯარო სამსახურში საქმიანობის, მათ შორის, გამოსაცდელ, პროფესიული განვითარებისა და რეზერვში ყოფნის, პერიოდებს.

## განსახილველი ცვლილებები პარლამენტის რეგლამენტში

- საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის [ინიციატივა](#), შეეხება პარლამენტის წევრის მიერ პლენარული და კომიტეტის სხდომების **საპატიო მიზეზით გაცდენას „ოჯახური მდგომარეობის“** გამო, ცვლილებების თანახმად, ოჯახური მდგომარეობა აღარ ჩაითვლება გაცდენის საპატიო მიზეზად. სამწუხაროდ საკანონმდებლო ორგანომ არ გამოხატა პოლიტიკური ნება აღნიშნული ცვლილების მისაღებად. **მნიშვნელოვნად და აუცილებლად მიგვაჩნია, მოხდეს აღნიშნული ცვლილების კანონად ქცევა და „ოჯახური მდგომარეობა“ აღარ ჩაითვალოს გაცდენის საპატიო მიზეზად.**

- პარლამენტის წევრის ალექსანდრე ქანთარიას [ინიციატივით](#), პარლამენტის წევრებს განცხადებების სარგებლობის უფლება უნდა ჰქონოდათ პლენარული სხდომის კვირის დღეებში, განსხვავებით მოქმედი რედაქციისაგან, რომლის თანახმად განცხადებების გაკეთების დღედ მხოლოდ პლენარული სხდომების ოთხშაბათია განსაზღვრული.
- სიტყვით გამოსვლის უფლებას შეეხება ფრაქცია “ერთანი ნაციონალური მოძრაობის” [ინიციატივა](#), რომლის თანახმად, ფრაქციებს, რომლებიც გაერთიანებული არიან უმრავლესობაში ან უმცირესობაში უფლება ეძლევათ პლენარულ სხდომებზე რეგლამენტით განსაზღვრული გამოსვლების დრო დაუთმონ უმრავლესობაში ან უმცირესობაში გაერთიანებულ სხვა ფრაქციებს.
- ჩიორა თაქთაქიშვილისა და სერგო რატიანის [ინიციატივით](#) დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების კვორუმი სიითი შემადგენლობის ნაცვლად განისაზღვრება არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედით. მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნა იყო დაყენებული საგამოძიებო კომისია შეიქმნა, რადგან უმრავლესობამ თითქმის ყველა შემთხვევაში მხარი არ დაუჭირა კომისიის შექმნას. ვინაიდან დროებითი საგამოძიებო კომისია საპარლამენტო კონტროლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი ბერკეტია, მნიშვნელოვანია რომ ამ საკითხზე პროცედურები გამარტივდეს და საგამოძიებო კომისიის შექმნა მხოლოდ უმრავლესობის ნებაზე არ იყოს დამოკიდებული.
- მიხეილ მაჭავარიანის [ინიციატივით](#) პარლამენტის რეზოლუციის, დეკლარაციის, განცხადების, მიმართვის პროექტის ინიციატორს უფლება მიეცემა, პროექტის პლენარული სხდომის დღის წესრიგში შეტანა მოითხოვოს პლენარულ სხდომაზე იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ პლენარულ სხდომამდე ბიუროს სხდომა არ იმართება ან ბიურომ არ მიიღო გადაწყვეტილება პროექტის პლენარული სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.
- ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ [ინიციატივის](#) თანახმად, გათვალისწინებულია პარლამენტში ახალი კომიტეტის - კარგი მმართველობის, გამჭვირვალების და კორუფციის პრევენციის კომიტეტის შექმნა.

## განსახილველი ცვლილებები მიწის საკუთრებასთან დაკავშირებით

- საქართველოს მთავრობის [ინიციატივით](#), რომელიც შეეხებოდა “სასოფლო სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ” კანონში ცვლილებებს, ზუსტდება იმ პირთა წრე, რომელთაც აქვთ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლება. აგრეთვე განისაზღვრება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ის მინიმალური და მაქსიმალური ფართობი, რომელიც შეიძლება იყოს უცხოელის ან უცხოელის მიერ საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის საკუთრებაში. აღნიშნული ინიციატივა საკომიტეტო მოსმენების ეტაპზე გაჩერდა.<sup>[9]</sup>
- აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს ორი [ინიციატივა](#) ეხება მიწის საკუთრებას. საკანონდებლო ცვლილებების თანახმად ქონების გადასახადისაგან განთავისუფლდება ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული 5 ჰექტრამდე ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები და ზუსტდება აჭარის ა/რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთების აღიარების დამატებითი პირობები.

<sup>9</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იყო ცნობილი კანონის ნორმა, რომელიც უცხოელს უკრძალავდა სასოფლო-სამეურნეო მიწის შექმნას ან მემკვიდრეობით მიღებას.

## განსახილველი ინიციატივები სესხი/იპოთეკის ხელშეკრულების მონაწილეთა მიმართ

2015 წელს საქართველოს პარლამენტმა შეიტანა [ცვლილებები](#) სამოქალაქო კოდექსსა და სამოქალაქო საპროცესო პროცესში, რომლითაც გაუქმდა უძრავი უძრავი ქონებიდან არამართლზომიერი მფლობელის საპოლიციო გამოსახლების მექანიზმი. ცვლილებების მიღებამდე პარლამენტში დარეგისტრირდა არაერთი ინიციატივა, რომელიც აღნიშნული საკითხის სხვადასხვა გზით დაეგულირებას ითვალისწინებდა, მათ შორის:

- პარლამენტის 49 წევრის [ინიციატივა](#) სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ. ცვლილება ითვალისწინებს 2014 წლის 1 თებერვლამდე იმ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმეების აღსრულების შეჩერებას, რომლებზეც საკუთრება მოპოვებულია სესხის ან/და იპოთეკის ხელშეკრულებების საფუძველზე.
- გედევან ფოფოხაძის [ინიციატივა](#) “პოლიციის შესახებ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ, რომლის თანახმად ხდება იმ უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საქმეებზე, რომლებზეც საკუთრება მოპოვებულია სესხის ან/და იპოთეკის ხელშეკრულებიდან, აღსრულების პროცედურაში პოლიციის მონაწილეობის შეჩერება 2014 წლის 1 თებერვლამდე.
- ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ [ინიციატივა](#) საქართველოს სამოქალაქო კოდექსსა და თანმდევ კანონებში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომლის თანახმად საპოლიციო გამოსახლების ინსტიტუტის საკანონმდებლო საფუძველი უქმდება.
- ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველების“ [ინიციატივა](#) პოლიციის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომლის თანახმად უქმდება ნორმა, რომლითაც განისაზღვრება პოლიციის უფლებამოსილება, სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, მესაკუთრის მიერ საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის საფუძველზე, უზრუნველყოს უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთა.

“საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს” შეფასებით, როგორც აღნიშნული ინიციატივები, ასევე მიღებული ცვლილებები **დაუსაბუთებლად ზღუდავს კანონიერი მესაკუთრის უფლებას. კანონით გათვალისწინებული წესი უარყოფით შედეგებს გამოიწვევს საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, საკრედიტო კავშირების, სალიზინგო და დეველოპერული კომპანიებისა და უძრავი ქონების ბიზნესში ჩართული მოქალაქეებისთვის, რაც, თავის მხრივ, უარყოფით გავლენას მოახდენს ეკონომიკის ამ სექტორების განვითარებაზე.**<sup>[10]</sup>

<sup>10</sup> საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, რა საფრთხეებს შეიცავს კერძო საკუთრებიდან არამართლზომიერი მფლობელის გამოსახლების ინიციატივა, <http://www.transparency.ge/node/5294>



## განსახილველი ახალი კანონის პროექტები

მერვე მოწვევის პარლამენტში ინიცირებული რამდენიმე ახალი კანონის პროექტი. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია:

- [„მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“](#) კანონის პროექტი, რომელიც თანმდევ კანონპროექტებთან ერთად დაარეგულირებს მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებს; ფიზიკური პირის უფლებების დაცვის ზოგად პრინციპებს, რომელიც სახელშეკრულებო ურთიერთობაში შედის მოვაჭრესთან მისი პროდუქციის პირადი მოხმარებისათვის გამოყენების მიზნით, არეგულირებს უსაფრთხოების ნორმების, ეკონომიკური ინტერესების დაცვის, სამომხმარებლო განათლებისა და დაინტერესებული ჯგუფების საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ სახელმწიფო პოლიტიკას და ა.შ. **აღსანიშნავია, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვის გაძლიერებას ასოცირების შეთანხმებაც ითვალისწინებს და მიზანშეწონილია ამ მიმართულებით კანონდებლობის დახვეწა.**
- [„ადამიანის კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“](#) კანონის პროექტი, რომელიც თანმდევ კანონპროექტებთან ერთად განსაზღვრავს ადამიანის კომპანიონ ცხოველთა სამართლებრივ სტატუსს და აწესებს მათი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად აუცილებელ სტანდარტებს.
- [„საქართველოს განვითარების ბანკის შესახებ“](#) კანონი და თანმდევი კანონპროექტებით გათვალისწინებულია, რომ საპარტნიორო ფონდის რეორგანიზაციის შედეგად იქმნება სააქციო საზოგადოება - საქართველოს განვითარების ბანკი. განისაზღვრება მისი შექმნისა და საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები და ფუნქციები.
- [„საერთაშორისო დაცვის შესახებ“](#) კანონის პროექტი, რომელიც თანმდევ კანონპროექტებთან ერთად განსაზღვრავს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე იმ პირთა, რომელნიც არ არიან საქართველოში, სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლას, ყოფნას და მათდამი მოპყრობის სტანდარტებს, რომლებმაც ამ კანონის შესაბამისად მოითხოვეს საერთაშორისო დაცვა, თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე და დროებითი დაცვის ქვეშ მყოფ პირთა სამართლებრივ მდგომარეობას, უფლება-მოვალეობებს და სოციალურ-ეკონომიკურ გარანტიებს და ა.შ.
- [„ფილანთროპიის, ქველმოქმედებისა და საზოგადოებრივი პარტნიორობის შესახებ“](#) კანონი და მისი თანმდევი კანონპროექტები განსაზღვრავენ ფილანთროპიის, ქველმოქმედების, ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობისა და საზოგადოებრივი პარტნიორობის განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს, პრინციპებსა და ფორმებს.
- [„შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“](#) კანონის პროექტით და თანმდევ კანონპროექტებში შესატანი ცვლილებებით ახლებურად რეგულირდება ურთიერთობები, რომელიც წარმოიშობა შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შემთხვევაში, მოცემულია ასევე საერთაშორისო შვილად აყვანის მარეგულირებელი ნორმები. საკანონმდებლო პაკეტით განისაზღვრება ამ საკითხის სხვა მნიშვნელოვანი ასპექტები.

## განსახილველი ცვლილებები ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობაში

მერვე მოწვევის პარლამენტმა მიიღო კანონი “ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ”. კანონის მიღების შემდეგ პარლამენტში ინიცირებული იქნა რამდენიმე ინიციატივა, რომელიც კანონში ცვლილების შეტანას შეეხება.

- „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონში და თანმდევი კანონპროექტებით ი. ჯაჭლიანის [ინიციატივით](#) ხდება „სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის“, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმის ამოღება კანონის იმ ნორმის ჩამონათვალიდან, რომლითაც ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის. **აღნიშნული ინიციატივა ცალსახად უკან გადაგმული ნაბიჯია და ვიშედოვნებთ პარლამენტი მიზანშეწონილად არ მიიჩნევს კანონპროექტის განხილვის პროცედურის გაგრძელებას.**

პარლამენტში ასევე დარეგისტრირდა რამდენიმე ინიციატივა, რომელიც ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის პრაქტიკაში განხორციელების გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. **მიზანშეწონილია საქართველოს მეცხრე მოწვევის პარლამენტმა გააგრძელოს ამ მიმართულებით მუშაობა:**

- „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის [ინიციატივა](#), რომლის თანახმად ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირები, რომლებიც „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში მიიღებენ რეკომენდაციებს და ზოგად წინადადებებს, ვალდებულნი არიან განიხილონ ისინი და 20 დღის განმავლობაში წერილობით აცნობონ საქართველოს სახალხო დამცველს მათი განხილვის შედეგები.
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის [ინიციატივის](#) თანახმად, განისაზღვრა სასამართლოში სარჩელით მიმართვის ახალი ვადა იმ პირთათვის, რომლებიც დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევენ თავს, კერძოდ სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის ვადა შესაძლებელია ერთი წლის განმავლობაში (ნაცვლად 3 თვისა) მას შემდეგ, რაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას დისკრიმინაციულად მიაჩნია).
- ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის [ინიციატივის](#) თანახმად, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის ინიციატივით ჩნდება ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირის ახალი ვალდებულება. კერძოდ, კონკრეტული საქმის განხილვასთან დაკავშირებული მასალა, საბუთი, ახსნა-განმარტება და სხვა ინფორმაცია კანონით დადგენილი წესების დაცვით გადასცეს საქართველოს სახალხო დამცველს წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ საჩივარში/განცხადებაში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს მოთხოვნას, საჩივარი/განცხადება დაკმაყოფილდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეს უარი ეთქმევა მის დაკმაყოფილებაზე.

## განსახილველი ინიციატივები პრემიების განსაზღვრის წესთან დაკავშირებით

პრემიების განემის წესთან დაკავშირებით საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტში მსჯელობა არაერთხელ გაიმართა. პრემიების აკრძალვასთან დაკავშირებით [ინიციატივა](#) ჰქონდა ზ. ქუცნაშვილს, თუმცა არ იქნა მხარდაჭერილი, ვინაიდან პარლამენტის წევრებმა მიიჩნიეს, რომ საჭირო იყო საკითხის კომპლექსური მოწესრიგება. პრემიის აკრძალვის შემდეგ კვლავ რჩებოდა დამატებით თანხების მიღების შესაძლებლობა.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე და თანმდევი [კანონპროექტებით](#) ფრაქცია „ქართული ოცნება - რესპუბლიკელების“ ინიციატივის თანახმად წესრიგდება საჯარო სამსახურში პრემიების საკითხი, კერძოდ, დგინდება იმ სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირთა ნუსხა, ვისთვისაც იკრძალება პრემიის მიღება. ამასთან, რეგულირდება სხვა საჯარო მოხელეებისათვის პრემიების გაცემის საკითხი, პრემიის ზღვრული ოდენობა და ჯერადობა, ასევე დგინდება ფულადი ჯილდოს ფარგლები. ამასთანავე, ახლებურად განისაზღვრება თუ რას მოიცავს საქართველოს პარლამენტის წევრის (პოლიტიკური თანამდებობის პირის) ხელფასი, და იგი მოიცავს მხოლოდ კანონით დადგენილ თანამდებობრივ სარგოს, პარლამენტის ბიუროს მიერ განსაზღვრულ სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელების თანხას და კანონით განსაზღვრულ დანამატებს. ამდენად, წარმოდგენილი რედაქცია აღარ ითვალისწინებს პარლამენტის წევრის მიერ პრემიის აღების შესაძლებლობას.<sup>[11]</sup>

მიგვაჩნია, რომ **პრემიების გაცემის წესის, ფარგლების და ოდენობის საკანონმდებლო ჩარჩოში მოქცევა უდავოდ მისასაღმებელი პროცესია. თუმცა, ჩვენი აზრით, ამ მიმართულებით განხორციელებულ ცვლილებებს უნდა მოყვეს ხელფასების ზრდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაიკლებს საჯარო სამსახურის კონკურენტუნარიანობა და შესაძლოა კვალიფიციური კადრების გადინებაც მოხდეს.**<sup>[12]</sup>

## განსახილველი საკანონმდებლო ინიციატივები სოციალური შემწეობებისა და კომპენსაციებთან დაკავშირებით

საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტში არაერთი საკანონმდებლო ინიციატივა თუ წინადადება იქნა დარეგისტრირებული, რომელიც ითვალისწინებდა გარკვეული სახის ფინანსურ წახალისებებს ადამიანთა კონკრეტული ჯგუფებისათვის, მაგ.:

- „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონში შესატანი [ცვლილებების](#) თანახმად, განისაზღვრება აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს წევრის, ასევე 1991 და 1996 წელს არჩეული აჭარის ა/რ უზენაესი საბჭოსა და 2001 წელს არჩეული აჭარის ა/რ პარლამენტის ყოფილი წევრის კომპენსაციის გაანგარიშების წესი.

<sup>11</sup> საჯარო სამსახურის შესახებ მოქმედი კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის №449 დადგენილებით დამტკიცდა საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესი რომლითაც საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირებზე გასაცემი პრემიის ოდენობა, გაცემის წესი და პირობები განისაზღვრა. აღნიშნული დადგენილებით დაწესდა ლიმიტი პირზე ერთჯერადად გაცემული პრემიის ოდენობაზე, ასევე შეიმუშადა პრემიის გაცემის პერიოდულობა, განისაზღვრა პრემიის გაცემაზე უფლებამოსილი პირები და დაზუსტდა პრემიის გაცემის მიზნები და საფუძველი. დადგენილება არ ეხება დანამატებს, რომლის დანიშნაზე გადაწყვეტილება სახელმწიფო დაწესებულების ხელმძღვანელის დისკრეციას წარმოადგენს. **ახალი კანონი** საჯარო სამსახურის შესახებ ითვალისწინებს ახალი რეგულაციის მიხედვით, წახალისება ხდება მოხელის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგების შესაბამისად. კანონპროექტი ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობით ჩამოთვლილ ფორმებს, გარდა თანამდებობრივი სარგოს თანრიგის ამაღლებისა, ასევე ერთდროული ფულადი ჯილდოს ნაცვლად წახალისების ფორმად შემოდის პრემია, რომელიც დღეს მოქმედი კანონმდებლობით შრომითი გასამრჯელოს წარმოადგენს

<sup>12</sup> საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, საჯარო სამსახურის რეფორმის შეფასება: საკადრო პოლიტიკა და ქონებრივი დეკლარაციები <https://goo.gl/CsCIXB>

- კომპენსაციებისა და პრემიების გაზრდას შეეხებოდა საქართველოს პრეზიდენტის ორ ინიციატივა (ინიცირებული 2013 წელს). „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ კანონში და თანმდევ კანონებში ცვლილებების შეტანის შესახებ პრეზიდენტის [ინიციატივის](#) თანახმად, კომპენსაციის გაცემის წესი გავრცელდება აგრეთვე დაზვერვის სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირებზე, იზრდება სამხედრო შინაგან საქმეთა ორგანოების, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან და დაზვერვის სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა კომპენსაციის ოდენობები. „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ“ კანონში ცვლილებების შესახებ პრეზიდენტის [ინიციატივის](#) თანახმად, ეროვნული გმირის ორდენზე დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიის ოდენობა იზრდება და ნაცვლად 10 000 ლარისა, გახდება 15 000 ლარი, ასევე აღნიშნული ორდენით დაჯილდოვებული პირისა და მისი ოჯახის წევრებისათვის წესდება სახელმწიფო კომპენსაცია, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტით სახელმწიფო ხარჯზე მგზავრობისა და სახელმწიფო ხარჯზე სავალდებულო სამედიცინო დაზღვევით სარგებლობის უფლება.
- სოციალური დახმარების შესახებ კანონსა და მის თანმდევ კანონპროექტებში შესატანი [ცვლილებების](#) თანახმად (ინიციატორი საქართველოსპარლამენტის წევრი გ.გობალიშვილი) 2016 წლის 1 ივლისამდე ზედმეტად გაცემული საარსებო შემწეობა ლეგალიზებულად ითვლება და დაბრუნებას არ ექვემდებარება. გარდა ამისა, დაბრუნებას არ ექვემდებარება საარსებო შემწეობის დაკავებული თანხა, აგრეთვე საარსებო შემწეობის ზედმეტად გაცემის გამო შესაბამისი დავალიანების მქონე პირის მიერ ნებისმიერი სხვა ფორმით სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი ან შეტანილი თანხა. ამასთან, უნდა შეწყდეს სასამართლო და სააღსრულებო წარმოებები ამ ლეგალიზებული საარსებო შემწეობის დაბრუნების საქმეებზე.

**სოციალურ შემწეობებსა და კომპენსაციებთან დაკავშირებული ცვლილებები მისასაღმებელია თუ მიზნად ისახავს კანონდებლობაში არსებული ხარვეზის აღმოფხვრას, მსგავს ინსტიტუციებში უთანასწორობის აღმოფხვრას და თანხების სამართლიანად განაწილებას. თუმცა მიზანშეწონილია კანონპროექტები განხილული იყოს მრავალი კომპონენტის, მათ შორის ბიუჯეტის შესახებ კანონის გათვალისწინებით.**

## განსახილველი ინიციატივები ეკონომიკურ დანაშაულებთან დაკავშირებით

ეკონომიკურ დანაშაულებთან დაკავშირებით მერვე მოწვევის პარლამენტში რამდენიმე ინიციატივა დარეგისტრირდა:

- ზურაბ ჭაფარიძის [ინიციატივა](#) „ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ“ კანონსა და მის თანმდევ კანონპროექტებში ცვლილებები შეეხება (წარმოდგენილი პროექტების თანახმად, სისხლის სამართლის საქმეები შეწყდება და სასჯელისაგან განთავისუფლებიან ის პირები, რომლებმაც 2013 წლის 1 იანვრამდე ჩაიდინეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მერვე კარის (ეკონომიკური დანაშაული) მთელი რიგი მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული.
- ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ [ინიციატივა](#) „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ გულისხმობს ცვლილებებს, რომელიც ეხება სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების თავს (უკანონო სამეწარმეო საქმიანობა, ფალსიფიკაცია, ყალბი აქციზური მარკების დამზადება ან/და გასაღება, უკანონო ქმედება გადახდისუნარობისას და სხვა) და მცირდება სანქციები.

ეკონომიკური დანაშაულების დეკრიმინალიზებასთან დაკავშირებით საქართველოს პრემიერ მინისტრს [გიორგი კვირიკაშვილსაც](#) აქვს განცხადება გაკეთებული. **სისხლის სამართლის ლიბერალიზაცია მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა მიზანშეწონილია სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების განხორციელება რეფორმის ერთიან ქრილში განხილვებოდეს.**